მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდახუთ იანვარს მე, გია გვარამია, საქართველოს მოქალაქე, პირადი No. 62007002038 (შემდგომში "მარწმუნებელი"), წინამდებარით ვანიჭებ თამარ გვარამიას, საქართველოს მოქალაქეს, პირადი No. 01031004186 (შემდგომში "რწმუნებული") უფლებამოსილებას, წარმომადგინოს ნებისმიერ ფიზიკურ პირთან, საჯარო თუ კერძო სამართლის კომერციულ თუ არაკომერციულ იურიდიულ პირთან, ამხანაგობასთან და სხვა გაერთიანებასთან თუ ორგანოზაციასთან, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ნებისმიერ ორგანოსთან, საკრებულოსთან, გამგეობასთან და ზოგადად ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობაში; გააკეთოს ზეპირი და წერილობითი განცხადებები ჩემი სახელით ნებისმიერ საკითხთან, მათ შორის ჩემს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ მოძრავ და უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და ამ მიზნით გააფორმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება (მათ შორის ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვის, გაყიდვის, ყიდვის, გაცვლის, იჯარით, სერვიტუტით, აღნაგობით, იპოთეკით დატვირთვის, მოძრავი ქონების დაგირავების შესახებ), შეიტანოს განცხადებები და გააკეთოს შესაბამისი მოთხოვნები საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში, სამოქალაქო რეესტში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სხვა ნებისმიერ სამსახურში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, არქიტექტურის სამსახურებში, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, სამშენებლო თუ სხვა სახის ნებართვების გაცემის და/ან ცვლილების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მოითხოვოს ნებართვის გაცემა და/ან არსებულის ცვლილება სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით) და ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, გააფორმოს ხელშეკრულებები, გააგზავნოს წერილები,იმონაწილეავოს კრებებში, მათ შორის ამხანაგობის კრებებში და ზოგადად, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რომლის განხორციელების და ხელმოწერის უფლება მაქვს მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს.

მინდობილობა ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2 (ორი) წლის განმავლობაში.

გია გვარამია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170076255
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.01.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი კანდელაკი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი,გამსახურდიას (პეკინის) 36,1 სართული.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	ოფისი - 2380471; მობილური - 599111901
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	22393288880017

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას **ჩვიდმეტი** წლის **ოცდახუთ იანვარს** მე ნოტარიუს, ლალი კანდელაკს ჩემს სანოტარო ბიუროში - მისამართზე: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი (პეკინის ქუჩა) №36, **მომმართა გია გვარამიამ, დაბ.07.03.1957წ. სენაკში, პ/№62007002038,** აიდი ბარათი **16IA09409, რეგ. თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 58,** რომელმაც წარმოადგინა **მინდობილობა** და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე: წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე **მინდობილობაზე.**

გადახდილია საზღაური, თანახმად: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011წ. №507) 31 მუხლისა 6 (ექვსი) ლარი (სამი ეგზემპლიარი) და ამავე დადგენილების 39–ე მუხლის პირველი პუნქტისა 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, სულ 8 (რვა) ლარი.

ნოტარიუსი ლალი კანდელაკი